ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2443599

ნომერი: AR1377757

თარიღი : 18.02.2016

გაცემის თარიღი : 25.02.2016

გაცნობის თარიღი : 26.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქურდიანი , (ნაკვ. 038/028) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ს. ქურდიანი , N 2ბ-ს მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქურდიანი , N 2ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი გელაშვილი პ/ნ LTU22074556
- რუსთაველის N14

ორგანიზაცია:
- შპს ლიტ ჯეო ინვესტი კოდი: 204531088

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ: წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით #01.16.02.038.078) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ში და სამრეწველო ზონა 1 (ს–1), აღნიშნული ზონების საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ით ცვლილების საკითხი განიხილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ გახდება შესაძლებელი მთელი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის პარამეტრებით, შესაბამისად შესაძლებელიც გახდება პარამეტრების მომატების საკითხის განხილვაც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე შეძლებს სამსახური საკითხის განხილვას

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.